ბათუმელი კომკავშირელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 24 (256). გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 25 დეკემბერი

გილოცავთ ახალ წელიწადს!



კეთილი იყოს შენი მოსვლა, ახალო წელიწადო!

დასაბამიდან ასმა — ახალ წელიწადს დიდი ზეიმით ხვდებიან ადამიანები, მილოცვებსა და კეთილ სურვილებს ბოლო არ უჩანს: უღრუბლო, ფეხბედნიერი, ბარაქიანი ყოფილიყოსო მისი მობრძანება.

ახალს სიხარულით ვხვდებით, მაგრამ არც ძველს ვივიწყებთ, სიკეთისათვის მადლობას ვუხდით. ეს ტრადიცია არასოდეს დარღვეულა — ასე იყო და ასეა ახლაც...

სადაც უნდა იყოთ თქვენ, ჩვენი გაზეთის მკითხველებო, გულით გილოცავთ ახალ წელიწადს. და, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად გვინდა მადლობა ვუთხრათ მიმავალ წელიწადსაც. იგი ღირსია კეთილი სიტყვებისა.

ბედნიერი ნაბიჯებით დააბიჯებდა ეს წელიწადი ქართულ მიწა-წყალზე.

თუ ყველას არა, ზოგ სიკეთეს მაინც ვიტყვით, მისგან ბოძებულს:

ხვავითა და ბარაქით აგვივსო ბეღლები, პურიც ბევრი მოვიყვანეთ და ყურძენიც. ჩაიც და ციტრუსიც, ხილიცა და ბოსტნეულიც.

ქართველ მეჩაიეთა გამარჯვების ამბავი ქვეყანამ გაიგო, მევენახეებს კი წლეულს ყურძნის ჩასაწურად ჭურჭელიც არ ეყოთ. იმდენი ვაშლი, ატამი, მანდარინი, ლიმონი მოვიყვანეთ, რომ ყველას ვუწილადეთ.

ახლა რამდენი სახლი ავაშენეთ, რამდენი ფოლადი გამოვადნეთ, ელმავალი და ავტომობილიც ხომ ბევრი გავაკეთეთ.

როგორც ყოველთვის, ეს წელიწადიც მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს ქართველმა მეცნიერებმა; ავსტრალია, ამერიკა, აფრიკა... მსოფლიოს ყველა კუთხეში გავგზავნეთ დესპანებად ჩვენი მომღერლები და მოცეკვავეები, კლასიკური და ხალხური ხელოვნების წარმომადგენლებმა მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალი, მილიონობით ადამიანის სიყვარული ჩამოიტანეს სამშობლოში; არც ქართველი სპორტსმენები დარჩენილან ვალში. მათაც მრავალჯერ ასახელეს ჩვენი ქვეყანა.

ზეიმიც ბევრი გვქონდა და ლხინიც. არავინ გამოგვრჩენია, ყველა მოვიგონეთ და დავაფასეთ, ვისაც კი ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის, მომავლისათვის სიკეთე დაუთესავს. ბუნებრივია, ყველაზე დიდი ზეიმი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, მშრომელი კაცის ერთგული მეგობრის დიდი ლენინის იუბილეს მივუძღვენით; ზღვა სისხლისა და აუწერელი მსხვერპლის ფასად ოცდახუთი წლის წინათ მტერზე მოპოვებული დიადი გამარჯვებაც გავიხსენეთ; ძეობაც ბევრი გადავიხადეთ და ქორწილიც.

კიდევ ერთი დიდი დღესასწაული მოგველის წინ — სულ მალე ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გადაიხდის.

დიახ, მადლიერების გრძნობით ვაცილებთ 1970 წელს და ზეიმით ვხვდებით ახლის — 1971 წლის მობრძანებას. გვჯერა, გვწამს, რომ ახალი წელიწადი კიდევ უფრო ფეხბედნიერი იქნება ჩვენთვის, ჩვენი თანამემამულეებისათვის, მთელი მსოფლიოს სალხებისათვის.

● საახალწლო ნოგათეგი. ინფორმაციები. ქრონიკა

ქვირუასო თანამემამულენო!

გილოცავთ ახალი, 1971 წლის მობრძანებას! სიხარული მოეტანოს მას-თქვენთვის.

გახარებთ თქვენი სამშობლოს ბედნიერებას, კარგად ყოფნას, მისი მიწა-წყლის სიმდიდრესა და ბარაქას.

სულითა და გულით, ფიქრითა და გარჯით კიდევ უფრო ახლო ყოფილიყოთ თქვენს სამშობლოსთან, არ დაგევიწყოთ დედაენა.

იყავით მრავალჟამიერ დღეგრძელნი და ბედნიერნი!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი

მიზანი — მშრომელთა კეთილდღეობა

ორ დღეს (22-23 დეკემბერს) მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა. მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, დეპუტატი **ერმალო ჯაფარიძე.**

საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. მომხსენებელი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვლადიმერ ტრაპაიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, დეპუტატი **ზინაიდა კვაჭაძე.**

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ, დაამტკიცა ანგარიში საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შემდეგ მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საზოგადოების კონფერენცია

გუშინ, 24 დეკემბერს, გაიმართა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების V კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის ანგარიში (მომხსენებელი — საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ გოგინეიშვილი) და სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი — კომისიის თავმჯდომარე პალადი ჩხიკვაძე).

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

კონფერენციამ აირჩია საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

(კონფერენციის მუშაობის ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

აღიარება

ცნობილი ფინელი კომპოზიტორის იან სიბელიუსის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსზე ჰელსინკში დიდი გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა თანამემამულემ, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტმა ლიანა ისაკაძემ (პროფესორ დავით ოისტრახის კლასი). მან პირველი პრემია დაიმსახურა. პირველი პრემია მიიღო აგრეთვე მეორე საბჭოთა მუსიკოსმა პავლე კოგანმა.

ლიანა ისაკაძემ მოიპოვა აგრეთვე ფინეთის რადიოს სპეციალური პრიზი იან სიბელიუსის სავიოლინო კონცერტის საუკეთესო შესრულებისათვის.

იან სიბელიუსის სახელობის კონკურსი ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა. წლეულს მასში მონაწილეობდა 16 ქვეყნის 26 მუსიკოსი.

ფინეთის პრესამ საუკეთესოდ შეაფასა საბჭოთა მუსიკოსების საშემსრულებლო ოსტატობა. ბევრი დაიწერა ლიანა ისაკაძეზე.

სახალხო აკადემია გელათში

გელათში, იქ სადაც 800 წლის წინათ უძველესი განათლების კერა — ქართული აკადემია მოქმედებდა, ამ რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა ქართული კულტურის ახალი ცენტრი — გელათის აკადემია.

სახალხო აკადემიის დამფუძნებელი კრება შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უჩა ცქვიტინიძემ. აკადემიის მსმენელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ოთარ ბოჭოიძემ.

გაიმართა სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და პრეზიდიუმის არჩევნები.

გელათის სახალხო აკადემიის რექტორად არჩეულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი.

სახალხო აკადემიის პირველ მეცადინეობაზე ლექცია — „გელათის აკადემია — XII საუკუნის კულტურის ცენტრი“ — წაიკითხა აკადემიის რექტორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეცადინეობის დასასრულ მსმენელებს უჩვენებს კინოფილმი „რუსთაველის ეპოქა“.



საახალწლო ნოგათეგი



თამადა

„თამადა“! — ასე ეწოდება ქართველი მხატვრის გოგი თოთიბაძის ნამუშევარს, მოსკოვში ტრეტიაკოვის ცნობილ გალერეას რომ ამშვენებს. სავსე ფიალით ხელში, ამაყად დგას კახელი გლეხი. დინჯი, აუღელვებელი, მიწის შუშა, მკლავმაგარი, ბრძენკაცი. მის ვაჟკაცურ მზერას სითბოც ახლავს და სიდარბაისლეც. სხვების პატივისმცემელი, შენგანაც მოკრძალებას მოითხოვს, ლოცავს სუფრას, ნაამაგარს, ყველას თავისას ეუბნება. ადღეგრძელებს სამშობლოს, პატიოსან ადამიანებს, ბრძანებს — მშვიდობა იყოსო ქვეყნად.

„თამადას“ ბევრი თაყვანისმცემელი გასჩენია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. ერთ-ერთ მათგანს შთაბეჭდილებათა წიგნში ასე ჩაუწერია: „კახელ თამადას ღვინით სავსე ფიალა მოსკოვისათვის, ტრეტიაკოვის გალერეისათვის აუწევია“.

სიმონ ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი

ქართული ღვინის ტრიუმფი

კოლექციაში არსებული ოქროს 90 მედალს ერთბაშად 26 უმაღლესი ჯილდო შეემატა!

ოქროს მედლების კავალერები გახდნენ „სალხინო“ და „ხიხვი“, „ნაფარეული“ და „მუკუზანი“, „თელიანი“ და „ყვარელი“, „წინანდალი“ და „ტიბაანი“, „ჩხავერი“ და „ქინძმარაული“... კონიაკებიდან ოქროს მედლები დაიმსახურეს „საიუბილეომ“, „გრემმა“, „ვარციხემ“, „ენისელმა“, „თბილისმა“, „ვარძიამ“ და „ძალიან ძველმა“.

აღსანიშნავია, რომ ფრანგულ კონიაკ „კამიუს“, რომელმაც დეგუსტაციის დროს ყველაზე უკეთესი შეფასება მიიღო, ქართული „საიუბილეო“ სულ 0,04 ბალით ჩამორჩა.

რა თქმა უნდა, სხვათა ნახელავიც არ ყოფილა ურიგო. უკრაინელთა მიერ წარდგენილი 156 ნიმუშიდან 55-მა ოქროს მედალი დაისაკუთრა, რსფსრ-მ და მოლდავეთმა 26-26 ოქრო წაიღეს შინ, სომხეთმა —20.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ყველაზე დიდ წარმატებას უნგრელებმა მიაღწიეს — მათ ოქროს 24 მედალი მოიპოვეს, ბულგარელებს 21 ოქრო ერგოთ, რუმინელებს — 19, იუგოსლაველებს — 16, ჩეხოსლოვაკელებსა და ესპანელებს — 15-15, საფრანგეთს — 11, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — 14, იტალიასა და ჩილეს ოთხ-ოთხი ოქროს მედალი.

დღეისათვის ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს ოქროს 119 მედალი აქვთ მოპოვებული.

ქართველი კომენოლოგი



სურათზე: დავით ლორთქიფანიძე.

საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ დავით ლორთქიფანიძეს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში თუ უცხოეთში. ბევრი მისი ნაშრომი მასწავლებელთა, პედაგოგიკის მკვლევართა სამაგიდო წიგნად იქცა. განსაკუთრებით დიდია ქართველი მეცნიერის ღვაწლი ჩეხი მოაზროვნისა და ჰუმანისტის, პედაგოგ-კლასიკოსის იან ამოს კომენსკის ცხოვრებისა და მემკვიდრეობის შესწავლაში. იგი კომენსკისადმი მიძღვნილი მრავალი შრომის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი მონოგრაფია „იან ამოს კომენსკი“, რომელიც ჯერ თბილისში დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ამას წინათ კომენსკის გარდაცვალების 300 წლისთავის აღსანიშნავად საკავშირო გამომცემლობა „პედაგოგიკამ“ გამოუშვა. ახლა ის ჩეხურად ითარგმნა და დასაბეჭდად მზადდება პრაღაში.

ამას წინათ დავით ლორთქიფანიძე პრაღის კარლის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს. ამ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში ქართველ მეცნიერს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საპატიო დოქტორის დიპლომი, მედალი და მანტია.

მდიდარი შთაბეჭდილებებით

მეტად საინტერესო ლექციები მოისმინეს ამ დღეებში თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გელა ბანძელაძემ მათ გაუზიარა კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ამ მოგზაურობის დროს ქართველი პროფესორი შეხვდა ოტავის, კარლსტონის, ტორონტოს, სანფრანცისკოს, ბერკლისა და ნიუიორკის, კოლუმბიის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. სან-ფრანცისკოში ქართველმა პროფესორმა რუსეთთან ურთიერთობის შემსწავლელ ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება „ანალგაზრდობის პრობლემა სსრ კავშირში“.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 2 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დაინიშნა ვახტანგ ბაბრიელის ძე გოგორიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის საკავშირო რესპუბლიკური სამინისტრო.

ვულოცავთ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 16 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად მათი დარაზმისათვის სომხურ ენაზე გამომავალი რესპუბლიკური გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“ („საბჭოთა საქართველო“) „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა.

ქრონიკა

კონსტანტინე გამსახურდია! მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ქართული კლასიკური მწერლობის სიამაყე...

რამდენი ფიქრი, მოგონება და ოცნება აუშლია მის რომანებს, მოთხრობებს... რამდენი საზრდო მოუცია გონებისათვის მის ღრმააზროვან, ისარივით შორს გამიზნულ სტრიქონებს.

მერამდენედ ვკითხულობთ მათ და ჩვენს წინაშე სულ ახალ-ახალი სამყარო იშლება.

რა სასიამოვნოა ასეთ კაცთან საუბარი, მაგრამ... რა ძნელია.

და მაინც გავბედეთ. ოღონდ, სანამ უშუალოდ მწერალს შევაწუხებდით, რამდენიმე კითხვით მის წიგნებს მივმართეთ.



ინტერვიუ დიდოსტატის წიგნებთან

□ რას მოიგონებდით ბავშვობიდან, აი ისეთს „თეთრფრთიანი სერაფიმები რომ ინახავენ თავიანთ რბილ ადგილს ქვეშ“?

— მამისეული სახლი ჩემთვის იყო უზარმაზარი სასახლე. ჩემი საწოლი ოთახიდან მოსჩანდა ოქროსკალთიანი ზეცის თვალსაწიერი, რომელიც შეღამებისას აყვავდებოდა ხოლმე სარინჯისფერი ღრუბლებით და ფეერიული ფერების ლიცლიცი სახარულით ავსებდა ჩემს ბავშვურ გულს.

...გათენებისას უკვე მაღვიძებდა ჩვენი ასწლოვანი კაკლის ხეებზე შემომსხდარი მოლაღურების საამო სტვენა, ხანაც შაშვების მხიარული ჭახჭახი ფათალოთი გარსშემორტყმულ მუხებიდან, რომელნიც თავჩაჩქანიანი რაინდებივით იდგნენ ჩვენი ვრცელი ბაღის დასავლეთის კიდეებზე.

მუდამ მდინარის პირად მოტანტალეს ციება დამრევდა ხელს და დასიცხულ ავადმყოფს შემომიტევდნენ ხოლმე ბობღია ლანდები, რომელნიც ზღაპრული მდევების დარად დაბაჯბაჯებდნენ ჩემს საწოლ ოთახში და ასეთ დროს დედა იღებდა ჩონგურს და ნელი ხმით დაამღერებდა:

შოუ ნანა,
შოუ შვილო,
შოუ ცისკენ
ფრთა გაწვდილო...

ოჰ, ის დაუვიწყარი დილები, განუწყვეტელი გალობა მოლაღურებისა და ბულბულებისა... აგრე მეგონა, მთელი ჩემი ცხოვრება გაივლიდა ამ ღვთაებრივი მგალობლების კონცერტებით დამტკბარი.

□ რას იტყვით ხელოვან ადამიანებზე?

— როგორც ტოლოთი დაბმული ცხენი გარს უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, აქ მოსძოვს მცირეს, იქ მოიბალახებს, დადის წრის გარშემო გაჩხიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის საგანი, სულ ერთია სეირნობს იგი, ლხინს ეძლევა, ან და მაშინაც, როცა გრგბოში უსაქმურად დაეხეტება, მარადჟამს თავის პირმშოს ლასტრიალებს გონების თვალით.

□ ნახევარსულიან ადამიანზე?

— მჯერა: ზოგჯერ ადამიანს მხოლოდ ნახევარი სული აქვს. იგი იტანჯება თავისი მარტოობითა და სულისნახევრობით. ადამიანური ენით მეტყველებს, მაინც თევზივით მუნჯია და უმწეო. მისი სიტყვები დასეტყვილი ყვავილივით იბნევა ქარში. ერთი შეხედვით იგი ქუჩაში დაგდებულ გადალესილ ფოლადსა ჰგავს, ხელში რომ აიღებ, მტკვრის შემოაცლი, ოქროა ხალასი.

□ გზებსა და გზაჯვარედინებზე?

გზა! იძახის ადამიანი საუკუნოების ირიბ მიჯნებზე.

გზა! იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფრები.

გზა! იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა სწნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარელისაგან ნაბოძები სამაჯე. მაგრამ მაინც არ ვიცი საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი.

□ სიყვარულსა, სიბერესა და სიბრძნეზე?

— სიყვარული იქ თავდება, სადაც ერთმანეთს შეიცნობენ ადამიანები... სიბერე და სიბრძნე უხმით მოგვყვება ნელნელა და ახალგაზრდებმა, რაც უნდა წინ ირბინონ, მათ ეს ურჩმი მაინც წამოეწევა.

□ უკანასკნელ აკორდზე?

— უკანასკნელი რაკეტები ყველაზე უკეთ ანათებენ.

□ „თუ ოდესმე ადამიანები უმართებულოდ“ მოგჭცევიან, რით გიპასუხიათ?

— და თუ ოდესმე ადამიანებს უმართებულოდ უსვრიათ ჩემთვის ქვა და ტალახი, მე მათ ჩემი ტაძრისათვის ვიყენებდი. ამ ტაძრის საძირკველი არასოდეს დაჰკარებია მიწას.

□ თქვენ, ბატონო კონსტანტინე, სიჭაბუკის ჟარმაგი დღეები უცხოეთში გაგიტარებიათ. ნუ გვიწყენთ და იქ ყოფნისას მოგნატრებიათ მამული თქვენი?

— მრცხვენია კიდეც, გავამხილო საჯაყი საქმე: ჩემი სოფელი უცხოეთში რომ მომენატრა. მე მომენატრა ჩვენი სოფლის ბნელი შუკები, ბროწეულების აყვავება თხრილებს გადაღმა. ახლა მთელ სოფელს სძინავს ალბათ, არსად ჭაჭანი. ხანდახან ისმის ძაღლის ყეფა, ჭოტის კივილი ან და წისქვილის მაღალ ჯებირს ასკდება წყალი...

□ რას განიცდიდით, როდესაც საქართველოსკენ მოილტვოდით?

— ვიცი, მიმიღებს საქართველოს მხურვალე მიწა, არ დაიშურებს ის ჩემთვისაც კალთას კურთხეულს.

დიახაც ასე! რკოც მოწყვეტილი იქ დაეცემა, სადაც ბევრი მუხა წაიქცა.

□ როდესაც პირველად დაადგით ფეხი საქართველოს მიწას, რა იყო თქვენი ფიქრი?

— ისევ აქ ვარ, ჩემ მიწაზე...

მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასე თეთრი, აქატის ღრუბლები, ასე ტკბილი გამსჭვირვალე ჰაერი. არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება. ეს მშვენიერი ამეთისტოს მთები, ეს გულჩათხრობილი ნაძვნარები...

□ თქვენ, როგორც მრავალი ენის მცოდნეს, რომელი ენა მოგწონთ უფრო?

ენა ქართული — მყინვარივით გულზვიადი.
ენა ქართული — ზღვასავით ულევი.
ენა ქართული — თასმასავით მოქნილი.
ენა ქართული — ღმერთების ენა.

როცა მისი გენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული მახვილი იელვებს ჩემს პირში, და ასე მგონია: მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმთქმელი ღმერთი, და მეც ადა ახალი ტემა: უნდა დავწერო მეორეჯერ ქება დიდებულისა ქართულისა ენისა.

□ რას იტყვით სამშობლოზე და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე?

— ჩვენ ისევ განუყრელი ვართ, როგორც ორი ფრთა ერთი და იმავე სამხრეთ მოწყურებული წერაწისი, ცივსა და ღრუბლიან ქვეყნებში რომ დაყიალობს და მზეს ეძახის...

შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, მე — შენი ლერწი,
მშობლიურ მიწის სინოყივრეს მონატრებული.

* * *

ორიოდე დღის წინათ დიდ შემოქმედს ბინაზე თბილისში, კოლხურ კოშკში ვეწვიეთ. გავაცანით „ინტერვიუს“ ტექსტი და დამატებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

□ ბატონო კონსტანტინე, ყველაფერი ეს თქვენდა დაუკითხავად თქვენივე წიგნებიდან ამოვკრიფეთ, მაგრამ მათი დაწერიდან დიდი დრო გავიდა. საინტერესოა, რას იტყოდით, დღეს რომ დაგვესვა იგივე კითხვები?

— იმასვე. რაც შეეხება „გზებსა და გზაჯვარედინებზე“ გაცემულ პასუხს, იგი მე კი არა, ჩემი რომანის გმირს კონსტანტინე სავარსამიძეს ეკუთვნის. პირადად მე კი ვპოვე ჩემი გზა ცხოვრებაში, და, ვფიქრობ, სწორადაც განვლეწე.

□ თქვენი მთავარი საზრუნავი ამჟამად?

— ისტორიული რომანი „თამარი“. თუმცა, გულახდილად გითხრათ, მეუღლისა და ცხოვრების მეგობრის დაკარგვამ, რაც წლეულს დამატყდა თავს, ცუდად იმოქმედა ჩემზე, პირდაპირ ხელი წამართვა. მალე, ალბათ, კვლავ გავაგრძელებ წერას.

გარდა ამისა, გამოსაცემად ვამზადებ ჩემს თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულს ქართულ ენაზე და რვატომეულს რუსულ ენაზე.


□ კიდევ რამდენიმე დღე და ახალი წელიწადიც მოგვდგება. მერამდენედ ხვდებით, ბატონო კონსტანტინე, ახალ წელიწადს?

— სამოცდამეთვრამეტედ.

□ რას უსურვებდით საახალწლოდ „სამშობლოს“ მკითხველებს — ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს?

— ჯანმრთელობას, ბედნიერებას, თუ შეიძლება ბედნიერი იყოს კაცი, რომელიც მოკლებულია სამშობლოს სითბოს. გარდა ამისა, მინდა მათ იცოდნენ, რომ ჩვენ აქ ძალზე დიდ, სერიოზულ ეროვნულ საქმეს ვაკეთებთ, და რომ ისინი ვალდებული არიან წმინდად დაიცვან ქართული კულტურის პრესტიჟი საზღვარგარეთ.










ეს სურათები კონსტანტინე გამსახურდიას ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სანდრო მამასახლისმა სხვადასხვა დროს, ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე გადაუღო და მათ „დიდი მწერლის სურათების ციკლი“ უწოდა.

გთავაზობთ რამდენსამე სურათს ამ ციკლიდან:

ზევიდან — „ნებიერა“ ნებივრობს; ფიქრები, ფიქრები, ფიქრები; პაპა და შვილიშვილი, დიდი და პატარა კონსტანტინე სასეირნოდ მიზადებიან; სიტყვის დიდოსტატი უცხოელ სტუმართა გარემოცვაში; ინტერვიუ რუსთაველის გამზირზე.

საახალწლო ინტერვიუ



სიმონ ყაუხჩიშვილი

აკადემიკოსი

● რას ეტყვით ახალგაზრდებს?

— ძვირფასო ყმაწვილებო და ქალიშვილებო!

რამდენიმე წელიწადია, რაც ჩემი სიცოცხლის მერვე ათეულში გადავდექი. იქნებ ვინმემ იფიქროს, ამის გამო სასოწარკვეთას ვეძლეოდე.

არა! მწამს, რომ სიცოცხლის გზა უწყვეტია. ახალგაზრდას რომ ვხედავ, ბავშვსა თუ ყრმას, მგონია, ეს მე ვარ, მგონია, ის ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაა და რომ ჩემი არსება მუდამ იქნება დღეკეთილი და დღეგრძელი.

ახალგაზრდებმა ღირსეულად უნდა განაგრძონ ის გზა, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა რომ გაგვიკაფეს. ეს არის ქვეყნის კეთილდღეობის, ჩვენი მშობლიური ხალხის სამსახურში ყოფნის გზა.

ქვეყნისათვის სამსახური კი არ ღლის კაცს, პირიქით, ამაღლებს სულიერად, უმსუბუქებს ჭირ-ვარამს, ხანდახან რომ ხვდება გზაზე.

ყოველ კაცს ცხოვრებაში საყრდენი სჭირდება, და რა შეიძლება იყოს სამშობლოზე უკეთესი საყრდენი, ვის შეეძლება ისე იმედიანად დაეყრდნო, როგორც მშობელ ხალხს, რომელიც თვალყურს ადევნებს შენს ყოველ ნაბიჯს, სწვალაც ხომ იმისათვის გინდა, რომ ხალხს გამოადგე, შრომაც — რომ მშობელ ხალხს ემსახურო. როცა ასე ფიქრობ, არასოდეს შემოგეპარება სევდა, არ შეგეპყრობს სასოწარკვეთილება და ჩემსავით გეცოდინება, რომ შენი არსება დღეგრძელი და მარადიულია.

● ბატონო სიმონ, რა ვიღონოთ, რომ უცხოეთში მყოფმა ახალგაზრდებმა არ დაივიწყონ ქართული ენა?

— მთავარია, გამუდმებით იკითხონ ჩვენი ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთები, აქ მოთავსებული მოთხრობები, თანამედროვე ქართველი პროზაიკოსები — გიორგი შატბერაშვილი, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, დავით კვიცარიძე, ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი...

● რა აზრისა ბრძანდებით სტუდენტთა გაცვლაზე?

— ეს კარგი აზრია. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შვილების სასწავლებლად ჩამოსვლა საქართველოში.

● რას უსურვებთ სახღვარგარეთელ ქართველობას?

— ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლონ დასავლეთ ევროპის კულტურას და ამ კულტურის შონაპოვარი ქართველი ერის სასარგებლოდ გამოიყენონ.

თავდაპირველად მათი რედაქციაში მოწვევა გადავწყვიტეთ. ინტერვიუსაც ალბათ „მრგვალ მაგიდასთან საუბარს“ დავარქმევდით. მაგრამ შემდეგ აზრი შევიცვალეთ, ვიფიქრეთ, თითოეულთან ცალ-ცალკე შეხვედრა, ჩვეულებრივ გარემოში საუბარი უფრო უშუალო და საინტერესო იქნებოდა. და აი ჩვენი კორესპონდენტი ნაზი შამანაური სამ დღეს დაჰყვებოდა იმ ადამიანთა კვალს, რომელთა წინასაახალწლო ინტერვიუ, ალბათ, თქვენც დაგაინტერესებთ.



რომან რურუა

მოჯიდავე

□ უველა გამარჯვება გამარჯვებაა, მაგრამ რომელი დაგასხომდათ განსაკუთრებით, რომელი ხალიჩა იყო უველაზე ბედნიერი თქვენთვის?

— ეს იყო 1967 წელს. რუმინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ოთხნი დავრჩით — რუმინელი ხვდებოდა თურქს, ხოლო მე — იაპონელ ხიდეო ფუძიმოტოს. ფიხალში რუმინელი გავიდა. იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონი გავხდარიყავი, იაპონელისათვის ქმინდად უნდა მომეგო. მე თუ იაპონელი — ქმინდად თუ ქულებით — ეს განსაზღვრავდა ჩემპიონობას.

ფინალში ქულებითაც მოვება კი ძალზე ძნელია, მე კი ბეჭებზე უნდა გამეკრა კაცი, რომელსაც მანამდე ასეთი მარცხი არ ეგემა.

და ეს შევძელი, გავიმარჯვე.

იაპონელი ფუძიმოტო ძალზე ძლიერი მეტოქე იყო, ყოველ შეჯიბრებაზე ფეხდაფეხ მომყვებოდა. წლეულს, როცა მე წონითი კატეგორია შევიცვალე, იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

□ როგორ განიცდით წარმატებას და წარუმატებლობას?

— ასე მგონია, თუ წავაგე, ჩემი ცხოვრების მესამედი დამაკლდა. საბედნიეროდ 1963 წლიდან მსოლოდ ერთხელ წავაგე — ისიც ქართველთან.

□ აი თქვენ გაიმარჯვეთ. მოწინააღმდეგე წააქციეთ. ამ დროს ხუთუ წუთით მაინც არ გდევთ ფიქრი დამარცხებული მეტოქისა? დღეს გაიმარჯვეთ, მაგრამ ხომ შეიძლება ხვალ თქვენც იმის ადგილზე აღმოჩნდეთ?

— სინანულს მაშინ ვიგრძნობდი, შემთხვევით რომ გამემარჯვა. ვიფიქრებდი: საწყალს, რა მოუვიდა, ის ხომ ჩემზე ძლიერი იყო-მეთქი.

□ მოიგონეთ რაიმე საინტერესო თქვენი უცხოური შთაბეჭდილებებიდან.

1969 წელს ბუენოს აირესში ჩავედით. ძალზე დაღლილები ვისხედვართ აეროდრომზე. ამ დროს კაცი მომიახლოვდა. მოვიდა და ქართულად მითხრა, გამარჯობა შენიო.

— გაგიმარჯოს-მეთქი, — მშვიდად ვუპასუხე და უცებ მივხვდი: თბილისში კი არა, ბუენოს აირესში ვარ! ქართულად მესალმებიან?!

წამოვდექი. აქ რა ვინდა-მეთქი?

მე აქა ვცხოვრობ, ცოლ-შვილი აქა მყავსო.

რა გვარი ხარ?

ჭეიშვილი, გურული ჭეიშვილიო.

ვისაუბრეთ. ქართული ფირფიტები, ქართული კონიაკი ვუსახსოვრე, ჭედური ნამუშევარიც „ტარიელისა და ვეფხის შემბმა“.

ვკითხე: ბევრი ხართ ქართველი არგენტინაში-მეთქი?

— რამდენიმე ათეული ოჯახი. არიან ხობიდან, ცხაკაიადან, გალიდან...

მერე მე მკითხა, საიდანა ხარო.

ბანძიდან ვარ-მეთქი.

აქ ერთი კაცია ბანძელი. ბიჭო, შენი მეზობელი აქ არა გყოლიაო!

სამწუხაროდ, ვერ შევხვდი უცხოეთში მცხოვრებ ბანძელს, იმავე დღეს სხვა ქალაქში მივფრინავდით. მაბატიოს კარის მეზობელმა...



ზურაბ სოტკილავა

მომღერალი

□ თქვენი წარმატება ფრანსისკო ვინიასის სახელობის მერვე საერთაშორისო კონკურსზე ბარსელონაში — პირველი პრემია და ოქროს მედალი — დიდი მონაპოვარია. მაგრამ, რა უფრო გახარებთ, ოქროს მედალი, თუ ის, რომ ესპანეთის პრესამ თქვენი ხმა გამორჩენილი შომღერლების — მარიო დელ მონაკოსა და დი სტეფანოს ხმას შეადარა?

— უველა იმ მომღერალს, ვისაც კი შემადარეს, ვალმერთებ... ეს მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, მეტი უნდა ვიმუშაო.

□ ხომ არ მოგვითხრობთ რომელსამე დრამსესანიშნავ შეხვედრაზე ესპანეთში?

— ეს იყო საღამო, რომელიც ესპანეთის ცნობილმა მომღერალმა კონჩიტა ბადიამ გამართა. ვახშამზე დაპატიჟებული ჰყავდა ესპანეთის გამორჩენილი პოეტები, მწერლები, კომპოზიტორები...

საუბრობდნენ უველაფერზე. გვეკითხებოდნენ საქართველოზე, რომელზეც ძალზე ცოტა იციან.

მთხოვეს, მემღერა რაიმე ქართული.

თემურ ნაცვლიშვილის „ქარი გიმღერის ნანასა“ ვიმღერე უაკომპანიმენტოდ. გაუკვირდათ, მოეწონათ.

ვაჟა ჩაჩავამ ლისტის „ტარანტელა“ დაუკრა. თვით ბადიამ, 73 წლის ქალმა, გულწრფელი და სუფთა ხმით შეასრულა ესპანური დუფალას ეოკალური ციკლი.

ეს იყო შესანიშნავი მუსიკალური საღამო.

□ ხომ არ მიგიღიათ რაიმე საინტერესო მიწვევა?

— მანუელ კაღეევილამ, ესპანეთის იმპრესარიომ, გამოგზავნა მიწვევა, სადაც მთავაზობს გაასპეტონის სამოთრო სცენაზე ოპერა „კარმენში“ და ცალფა კონცერტებით გამოსვლას 1971 წელს.

იტალიელმა კომპოზიტორმა პიცინიმ მთხოვა მონაწილეობა მეივო მის ახალ ოპერაში.

დასავლეთ გერმანიის გრამფირფიტების ფირმისაგან კი მივიღე წინადადება ლა სკალას თეატრში ჩაგწერო რამდენიმე პარტია ვერდის „აიდადან“.

□ უცხოეთში მყოფ ქართველებთან რას დაგვაბარებდით?

— სიამოვნებით ვიმღერებდი მათთვის.

ჩვენი საახალწლო ინტერვიუ



ოთარ მეღვინეთუხუცესი

მასახიობი

● თქვენ ქართულ ფილმ „დიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი მეფის როლი ითამაშეთ. როგორია თქვენი — როგორც გიორგი მეფისა და როგორც მეღვინეთუხუცესის — აზრი საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ?

— როგორც „მეფე“ და როგორც მსახიობი დიდი პოეტის — ვაჟას სიტყვებით გიპასუხებთ:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მჭნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..“

● კვლავ რომელ ისტორიულ გმირთან შეხვედრა გაღელვებთ ქართულ ეკრანზე?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ვეფხვყავნები დავით აღმაშენებელს მთელი მისი ცხოვრებისათვის. კაცი, რომლის რაობაც თუნდაც იმ რამდენსამე სიტყვაში გამოსჭვივის, ქართველთ რომ დაუბარა და რომელიც ახლა მისი საფლავის ეპიტაფიის სამკაულად ქცეულა: ყოველმა ქართველმა გულზე გადაშაროსო!

რაც შეეხება ლიტერატურულ გმირს, ვინატრებდი და ვიოცნებებდი ვაჟას „მინდიას“...

● რას უსურვებდით კერას მოშორებულ ქართველებს?

— ჩვენ პატარა ერი ვართ, ამიტომ პირველ რიგში ყველა აქაურს და განსაკუთრებით იმ ოჯახებს, რომლებიც სამშობლოს გარეთ ცხოვრობენ, ვუსურვებ გამრავლებას, რაც ერს საოცრად სჭირდება; ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ეს წელიწადი ბედნიერი ყოფილიყოს მათთვის. არ მოშლოდეთ მთავარი სიყვარული — სიყვარული საკუთარი ერისა, საკუთარი ხალხისა, სამშობლოსი. სამშობლო ისეთი რამ არის, რომელიც სიყვარულსა და ამაგს ათმაგად დაგიბრუნებს.



დავით დემეტრაშვილი

მუშა

ალბათ, იმიტომ, რომ ელმავალმშენებელი ვარ. მისი თუნდაც ერთი ჭანჭიკის მოშლა ამ უზარმაზარ მანქანას ძალას დააკარგვინებს. ვფიქრობ, სამშობლოსათვის ერთ ჭანჭიკს მეც ვაკეთებ. ასე რომ, მეცნიერის, ექიმის, პედაგოგისა თუ მუშის გარჯა ქვეყანას ერთნაირად სჭირდება.

● რით იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი 1970 წელი, რით დაგახსომდათ?

მე და ჩემს მეუღლეს მანანა გაბიძეს 1970 წელი არასოდეს დაგვავიწყდება — ჩვენ ხომ ამ ერთი კვირის წინათ დავქორწინდით.

● რას ისურვებდით 1971 წლისათვის?

პირველ რიგში მშვიდობას. მუშის ბედნიერება მშვიდობიან შრომაშია.



გულგაათ დავითაშვილი

რეჟისორ-ბალეტმეისტერი

● ბატონო გულგაათ, სად და რაზე მუშაობთ ამჟამად?

მე პერსონალური პენსიონერი გახლავართ და აღარ ვმუშაობ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ხელოვნებას ნაზიარებ ადამიანს უთეატროდ გაძლება უჭირს და აი მეც სიამოვნებით მივიღე ჩვენი საოპერო თეატრის მიწვევა, დავდგი მის სცენაზე ლენინური პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ ყარა ყარაევის ბალეტი „ჭუხილის ბილიკით“. გაგაწდობთ ერთ „საიდუმლოსაც“ — ვამზადებ ქართული ბალეტის ლიბრეტოს. ასე რომ, მომავალ, 1971 წელს ფრთები შეესხმება ჩემს ყველაზე დიდ ოცნებას — მაყურებელი ნახავს გულბაათ დავითაშვილის მიერ დადგმულ ქართულ ბალეტს.

● გთხოვთ უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ მკითხველებს თქვენი ჩანაფიქრი.

თხოვნაზე თხოვნით უნდა გიპასუხოთ. წინასწარ არ მინდა ვილაპარაკო შემოქმედებით გეგმებზე, რომელიც ჩემთვის ასე ძვირფასია. მობრძანდით პრემიერაზე და თუ მოგეწონებათ, მის ავ-კარგზეც მაშინ მოვუთხრობთ ფართო საზოგადოებას, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს.

● რას უსურვებთ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს?

მოგეხსენებათ, პირადად მე ემიგრაციაში თითქმის საუკუნის მეოთხედი გავატარე. რას ვუსურვებ ადამიანებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ სამშობლოს მოწყვეტილი არიან? რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმას, რაც ჩემს თავს ვუსურვე და ავასრულე კიდეც — სამშობლოსთან შეხვედრას, მის სამსახურში ჩადგომას. ნდეთ ჩემს გამოცდილებას, ძნელად შეხვდებით ქართველ კაცს, სამშობლოში დაბრუნების, მასთან შეხვედრის სურვილით რომ არ იწვოდეს.



ყოველ ახალ ნელიწადს ბედნიერება მოაქვს...

ახალ წელიწადს ბაკურიანში შევხვდეთო — ეს აზრი მას შემდეგ დაიბადა, რაც ოჯახის უფროსმა არქიტექტორმა შოთა კაჭკაჭიშვილმა შვებულება აიღო. ბაკურიანში გამგზავრების იდეა, რა თქმა უნდა, გივისა და ზურიკოს ეკუთვნით. ახლა მართლაც რა სჯობია კოხტაგორას. ერთი ეს არის, თხილამურები უნდა გივარგოდეს. ბიჭებმა ამაზეც იზრუნეს. ბარგი უკვე ჩალაგებულია და სამი მამაკაცი ბაკურიანისაკენ გასწევს. მათთან ერთად იქნება დედა და უპირველესი მეგობარი — სწორედ ასე ეძახიან შვილები და მეუღლე თინათინ სარჯველაძეს.

ქალბატონი თინათინი საქართველოში დაიბადა და საფრანგეთში გაიზარდა. გარემო ფრანგული იყო. იოსებ სარჯველაძის ოჯახში კი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, ქართულად მღეროდნენ, ქართულს ცეკვავდნენ. თინათინს და მის უმცროს დას რუსუდანს მშობლებმა ასწავლეს ქართული წერა-კითხვა. შთააგონეს, ქართველები კეთილი და რაინდული სულის ადამიანები არიანო. და როცა გოგონებმა ბალზაკისა დ მიუგოს კითხვა დაიწყეს, რუსთაველი უკვე იცოდნენ.

მშობლების ერთადერთი საზრუნავი ის გახლდათ, ქალიშვილებისათვის განათლება მიეცათ. თინათინი ფრანგულ ენას სწავლობდა უნივერსიტეტში, ოღონდ იმ სპეციალობით, რომელიც უფლებას ანიჭებდა შემდეგ საზღვარგარეთის ქვეყნებში ესწავლებინა ფრანგული.

საქართველო ცხრა მთას იქით იყო, მაგრამ გულთან ახლოს, და რაც უნდა ეკეთებინა, ფიქრებით კვლავ სამშობლოს უბრუნდებოდა.

სურათზე: თინა სარჯველაძე (მარცხნიდან მესამე) ოჯახის წევრებთან ერთად.

საფრანგეთს ყოველთვის ემადლიერება. მისი ამაგიც ახსოვს, მაგრამ ადამიანებს ხომ ერთი აქვთ სამშობლო, მისკენ უნდა ისწრაფოდნენ, მასთან ერთად უნდა იყვნენ და ცოცხლობდნენ. და თინათინიც, როგორც კი შესაძლებელი გახდა, საქართველოს დაუბრუნდა.

თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი ამ ოციოდე წლის წინათ დაარსდა. ერთი პირველი ლექტორთაგანი, ვინც ამ ინსტიტუტში დაინიშნა, უფროსი მასწავლებელი თინათინ სარჯველაძე იყო. ამისათვის ემზადებოდა თითქმის მთელი სიცოცხლე და ახლა, ოჯახთან ერთად, ეს საქმე ძირითად ხაზრუნავად ექცა.

ათობით, ასობით სტუდენტი გამოზარდა. საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში ასწავლიან ახლა ისინი ფრანგულს.

თინათინი ქართულიდან ფრანგულად თარგმნის საბავშვო ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს, თარგმნის აკაკი ბელიაშვილის ნაწარმოებებს, არის რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი.

ყოველ ახალ წელიწადს ჩემთვის ბედნიერება და სიხარული მოაქვს, — მითხრა ქალბატონმა თინათინმა. ბედნიერი იყო 1963 წელიც. მაშინ საფრანგეთიდან სამუდამოდ ჩამოვიდა უმცროსი და რუსუდანი. ბედნიერი იყო ის წელიწადი, როცა ჩემი ქალიშვილი ლეილა გავათხოვე, როცა დასრულდა თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა, რომლის პროექტის ერთ-ერთი ავტორი ჩემი მეუღლეც გახლავთ, კეთილად დამახსოვრდა ის წლებიც, როცა ზურიკო სკოლაში შევიდა, ხოლო გივი სტუდენტი გახდა.

1971 წელი, ალბათ, ახალ სიხარულს მომიტანს. მამაჩემი იოსებ სარჯველაძე პარიზში სიტე-რანდელეზე ცხოვრობს, ხშირად კითხულობს გაზეთ „სამშობლოს“. მინდა იცოდეს, რომ ეს წელიწადიც ჩემი ოჯახისათვის ლამაზად იწყება — მას ბაკურიანში შევხვდებით.

ჯემალ ქურხული

ჩვენი სტუმარი

ცხოვრობს, შრომობს, სარობს...

ოთახის კარი საშუალო ტანის, შუახანს გადაცილებულმა მამაკაცმა შემოაღო. „სამშობლოს“ უკანასკნელი ნომერი გვთხოვა, თან მოიბოდიშა— როგორც წესი, თქვენს გაზეთს ჯიხურში ვყიდულობ, ამჯერად კი ხელი შემეშალა. დროზე ვერ მივაკითხე და უგაზეთოდ დავრჩი. „სამშობლოს“ უკანასკნელი ნომერი მოვართვით და გავესაუბრეთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს.

სტუმარი საინტერესო პიროვნება გამოდგა. ნიკოლოზ ხუციშვილს სწორედ ამ დღეს შესრულებოდა 70 წელი. აქედან ერთ მესამედზე მეტი უცხოეთში, ემიგრაციაში ჰქონდა გატარებული...

საფრანგეთში 1925 წელს წასული, ხამშობლოს 1948 წელს დაუბრუნდა.

— რატომ არ დავჭორწინდი უცხოეთში, რატომ არ მივიღე საფრანგეთის ქვეშევრდომობა? მხოლოდ იმიტომ, რომ აქეთ მომეჩქარებოდა, ჩემი თბილისი, ჩემი მშობლიური ბორჯომი მენატრებოდა, — გვიამბობს სტუმარი და დასძენს: — როდესაც გაზეთში წავიკითხე საქართველოში მეტალურგთა ქალაქი, რუსთავი შენდებაო, ვიგრძენი, რომ სამშობლოს მართლაც ღირსეული პატრონი ჰყოლია. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულს განა შემეძლო ამ გრანდიოზული ძვრებისათვის შორიდან მეცქირა! და აი მეც საქართველოსკენ გამოვეშურე.

ახლა ქარხანა „ელექტრომატომატში“ ვმუშაობ უფროს ინჟინრად. მყავს მეუღლე და ქალიშვილი. თავისუფალ დროს ვენახს დავტრიალებ თავს. ქარხნის სხვა მუშა-მოსამსახურეებთან ერთად სოფელ პატარძეულთან ნაკვეთი გამომიყვეს და ისეთი ვაზი გავაშენე, ავ თვალს არ დაენახვება, გაისად გამოიღებს ნიშანს, ჩემს თინათინს ჩემი დაწურული ღვინით გადავუხდი ქორწილს...

გამომშვიდობებისას კარზე მომდგარი დღესასწაული მივულოცე, ბედნიერი 1971 წელი ვუსურვე სტუმარს. არც მას დაუშურებია კეთილი სიტყვა. ერთიც გვთხოვა: თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი წელიწადი საფრანგეთში მცხოვრებ ჩემს მეგობრებს — ქეთევან ასათიანს, ნიკოლოზ ცერცვაძესა და შალვა ტუღუშს მიულოცეთო.



საშობაო თანატოლი

ბატონო ანზორ! მე და ჩემი მეგობრები მოგვხიბლა ქართულმა სიმღერებმა. თუ შეიძლება, რაიმე შეგვასწავლეთ თქვენი რეპერტუარიდან. ჩვენ ხომ კოლეგები ვართ. რა თქმა უნდა, გასამრჯელოსაც გადავიხდით. ასეთი საქმისათვის ღირს ფულის გადახდა. აბა, წარმოიდგინეთ, რა სენსაცია იქნება, როცა გახტროლებიდან შინ დაბრუნებულნი მაყურებელს ქართულ სიმღერებს მოვასმენინებთ. ამერიკაში კი, მოგეხსენებათ, სენსაციას ძიდ პატივსა სცემენ.

— ქართული სიმღერებით მოხიბლულთ მის შესწავლაზე უარს როგორ ვეტყვით. რაც შეეხება გასამრჯელოს, ნუ შეწუხდებით, გეტყობათ, ქართველი კაცის ბუნებას არ იცნობთ. სიმღერის შესწავლა კი ახლავე დავიწყოთ...

გავიდა რამდენიმე დღე და ამერიკიდან ჩამოსული სტუდენტთა ანსამბლი ხმაშეწყობილად მღეროდა — მორბის არაგვი, არაგვიანიო. შორეულ კონტინენტზე მათ მეორე ქართული სიმღერაც — „შენ ხარ ვენახი“ წაიღეს.

ეს მოხდა ამ ორიოდე წლის წინათ ბუდაპეშტში. უნგრეთში საგასტროლოდ ჩასულ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველ კონცერტებს, სხვებთან ერთად, ამერიკიდან ჩამოსული სტუდენტთა ანსამბლის წევრებიც ესწრებოდნენ. და აი ქართული სიმღერებით მოხიბლულნი ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს ანზორ კავსაძეს ეწვივნენ...

ასეთი შემთხვევა პირველი რომ დიას.

ანსამბლის მიერ სიმღერითა და ცეკვით გავლილი გზა მალე საუკუნის თანატოლი გახდება. ლადო აღნიაშვილის თაოსნობით 1875 წელს შექმნილმა „ქართული სიმღერების შემსრულებელმა გუნდმა“ ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერა.

1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ქართული სიმღერების ეშხმა ათასობით მაყურებელი მოხიბლა. მაშინ ჩვენი რესპუბლიკიდან ორი ანსამბლი იყო წარდგენილი: ერთს კირილე პატკორია ხელმძღვანელობდა, მეორეს კი — სანდრო კავსაძე. შემდგომ წლებში ეს ორი ანსამბლი კვლავ გაერთიანდა. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდა გრიგოლ კოკილაძე, შალვა მშველიძე, ვალერიან ცაგარეიშვილი. 1958 წელს ანსაბლს სათავეში კავსაძეების კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი — ანზორ კავსაძე ჩაუდგა.

საბჭოთა კავშირში იშვიათია ქალაქი, სადაც საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს კონცერტი არ გაემართოს. როგორც წესი, მასპინძლები, ჯერ გასტროლების გაგრძელებას სთხოვენ, უკან წამოსულებს კი ფეხდაფეხ ბარათს ადევნებენ— კვლავ გვეწვიეთო, მათი სიმღერები და ცეკვები ერთნაირად იპყრობენ რუსისა და უკრაინელის, ლატვიელისა და აზერბაიჯანელის გულს, მათ ოვაციებით ხვდებოდნენ უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში. სულ ახლახან გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ანსამბლის კონცერტებს ესწრებოდა, განაცხადა, მსმენელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, ტაში და შეძახილები, თაიგულები და ღიმილის ზღვა, აი ის, რაც მოიმკო ქართულმა ხელოვნებამ ჩეხოსლოვაკიის მიწაზეო.

მაინც, რა უფრო მოსწონს მაყურებელს, ქართული სიმღერები თუ ცეკვები?

ამ კითხვაზე ანზორ კავსაძემ ასე გვიპასუხა: ძნელი სათქმელია, ისე კი, ჩვენი ანსამბლის მიერ შესრულებულ ნომერთა უმრავლესობა სიმღერისა და ცეკვის სინთეზს წარმოადგენს, სცენაზე უმოძრაოდ თითქმის არავინ არის. ავიღოთ, თუნდაც, ცეკვა „საფორწილო“. ვიდრე ცეკვა დამთავრდებოდეს, მომღერლები შვიდ სიმღერას ასრულებენ და თან მასობრივ ცეკვებში მონაწილეობენ.

დიახ, მაყურებელს ერთნაირად მოსწონს „ჩაკრულო“ თუ „ფარიკაობა“, „შავი შაშვი“, თუ „განდაგანა“ „ასლანური მრავალჟამიერი“ თუ „ყაზბეგური“... ანსამბლის ბედნიერება ის არის, რომ მას ჰყავს შესანიშნავი სოლისტები — ილია ზაქაიძე, აკაკი ლანდია, სიმონ მიქაბერიძე, ჯემალ ნაკაშიძე, რობერტ ლომაძე, დვმურ გარდაფხაძე, ვასილ ტაბატაძე, ბრწყინვალე მოცეკვავეები — წელი მეზვრიშვილი, მანანა ყანჩაველი, მზია ხიტირი, ვახტანგ ნინიძე, რევაზ ვარდიაშვილი, ტარიელ მილაძე...

ამ ანსამბლზე წარმოდგენა სრული არ იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვას არ ვიტყოდით იმ ღვაწლზე, საერთო წარმატებებში ქორეოგრაფ რევაზ ხონელიძესა და დირიჟორ იური თავართქილაძეს რომ შეაქვთ.

გვერწმუნეთ, რევაზ ხონელიძის მიერ დადგმული ცეკვები ხელოვნების ნამდვილი ზეიმია. თუ ეს სიტყვები გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, ნახეთ, დაესწარით ამ ანსამბლის კონცერტებს და ჩვენს ნათქვამს მსჯავრი მაშინ გამოუტანეთ.

წერილის დასასრულ ანზორ კავსაძესა და მისი ანსამბლის ყველა წევრს გვინდა მივულოცოთ ახალი წელიწადი, ვუსურვოთ კვლავაც შორს გაეტანოთ ქართული სიმღერისა და ცეკვის დიდება. მათ ხომ მომავალშიც დიდი საგასტროლო გზები მოელით!

რევაზ მაჭავარიანი





სურათზე: ზევით — ანსამბლის ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე. ქვემოთ — სცენაზე საქართველოს სიმღერებს და ცეკვებს სახელმწიფო ანსამბლი.



ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი

ილია ჭავჭავაძე

ახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ველატრობდი წინა ღამე ახალი წლისა მალე გათენდეს-მეთქი. მე მახსოვს ეს წინა ღამე. ეს წინა ღამე ახალი წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახასს ჰზელდნენ, იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიწვნევდა, მოდით პირი ჩაიტკბარუნეთო, იქით დედაჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებდაჭყეტილები ამაებ შორის დავმვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრებდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა, ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზე უფროსი ჩვენში თორმეტს წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერებაზე მარტო ორნი დაძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია და, როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედ-მამა, როგორ შევხართ ბავშვური სიხარულითა დედას, მამას, მესმის მტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება, იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირი ტკივილისა, რაღაც სხვანაირი მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულშედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულის წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო. და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.

ყველაზე მეტად დამახსოვდა ერთი ახალი წლის წინა ღამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან თუ მეტისმეტი გართობისაგან, ძილი აღარ მოგვკიდა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანა დედამ: წადით, შვილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს ვუწვდით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყებისა და ალვახასის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამაჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რო დაცუნცულებდა ჯამებსა და ტაბაკებს შორის, რაღორღაც ფერი წამოკრა ერთს უშვილებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაქცია. დედას ძალიან ეწყინა და გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თავიდან მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაღნებ! გაასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნება დაეძინოთ და მომასვენონო.

მამაჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურისგდება ზღაპრისა. გვითხრა, რომ დედამ დაჰკალა მამას ზღაპარი ეთქვა. მივცივდით ჩვენც, ზოგი ხელზე ჩამოვჯდებოდენით, ზოგი ახალუხის კალთაზე.

—შენი ჭირიმე, მაბილო, ზღაპარი გვითხარი, — შევევედრეთ აქეთ-იქიდან, — დედა აქედან გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

— ბატონი ხარო. აბა, წავიდეთ.

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით. ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა, ავიდა მამაჩვენი, ტახტზე მოიკეცა, ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამასა, იდაყვებზე დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზე დაანდო და ისე შეაჭყიტა მაყვალასავით შავი თვალები, თითქო მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზე მომდგარს მესამე ძმას. მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

მამამ დაიწყო:

„მე ადრეცაც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები, მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედან, ხან იქიდან მოგვესეოდნენ ხოლმე, ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვიომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და, როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისი ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთი ამისთანა ვაჟკაცის ამბავს გეტყვით და კარგად დაიხსომეთ.

* * *

ერთ დროს ჩვენ გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. ომის დროს ყიზილბაშების ყვინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ. ამ ყვინმა გამოჰგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად. შეიყარა ორი ერთმანეთზე სამტროდ გამართული ჯარი საომრად. ერთს მხარეს დაეწყვნენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს — ქართველები. გაიმართა ომი, რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარტო ერთ რასმე გიამბობთ, რაც ამ ომში მოხდა. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოჰქუსლა ერთმა ყიზილბაშმა ცხენი და გამოვარდა მოედანზე რაზმიდან. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯიროშია და არა ომშიო. ეწყინა ქართველ ყმაწვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა, — დახე, როგორ გვებრიყვობს?! კაცად აღარ გვაგდებს თუ, რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოგვირბისო — იძახდნენ.

ჰკრა ერთმა მოხერხებულმა ყმაწვილ-კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულისფიცარში შუბი და საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზე.

— აი, ქუდიც არა მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოო, — დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდან და უფრო გახალისებულმა გამარჯვებით გათამაშ-გამოათამაშა ცხენი მოედანზე; გავიდა შესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დაუმტკიცა თამარმა. ასეთი ყმაწვილი კაცები დახოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს სირცხვილი როგორა ვჭამოთო, შინ რა სახელით-ღა მივიდეთო. არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ვეღარავინ ჰბედავდა და გასვლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზე ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო.

— ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზი! — დაიძახეს ქართველებმა: — ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილო, ნიკოლოზ, — გაჰკივლეს აქეთ-იქიდამ ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო და ამ კივილზე ომიდან გამოვიდა. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როცა მისცივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან განთქმული და სახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

— სად შემიძლია მე ახლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა, — ვერა ჰხედავთ, ახლად ულვაშამოშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.


— ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ, — შეევედრნენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი. აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა. ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქუბის კიჟინა დასცეს. შინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენდა-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბერტყა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზე ადგომა გაუძნელდა, ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება, წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისვანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა“.

1890 წელი



სპორტი

ახალ წელიწადს ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ქართველო სპორტსმენებო!



ცნობილმა ქართველმა მოფარიკავემ, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ნუგზარ ასათიანმა ახლახან დაამთავრა თავისი წიგნი „ფარიკაობა — ჩემი სიყვარული“. ვბეჭდავთ უკანასკნელ თავს ამ წიგნიდან.

ფარიკაობა — ჩემი სიყვარული

როცა გამუდმებით მონაწილეობ დიდ თუ პატარა შეჯიბრებაში, როცა ხშირად ფიქრისა და ანალიზის დროც აღარა გრჩება, მაშინ ... ერთი თვალის გადავლებით გადახედო მძიმე, მაგრამ სიხარულითა და გამარჯვებებით აღსავსე გზას, რომელსაც სპორტული სამყარო ჰქვია. შენ ხარ ამ უსაზღვრო, უკიდეგანო სამყაროს ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო ნაწილი. ასეთი განცდა მჭონდა მაშინ, როცა მრავალი წლის წინათ პირველად დავინახე ზღვა. თითქმის ორ ათეულ წელიწადს ჩემი პატარა ცხოვრების გემი ცურავდა ავად თუ კარგად სპორტულ სარბიელზე. ამ მოგზაურობამ თუ თავგადასავალმა — რაც გნებავთ დაარქვით— უდიდესი კმაყოფილება მომიტანა. სპორტი, განსაკუთრებით, დიდი სპორტი, აკეთილშობილებს ადამიანს. იგი მას ასწავლის, პირველ ყოვლისა, პატიოსნებას, გამტანობას, უღვივებს მეგობრობის უფაქიზეს გრძნობას.

ვერც ერთ წიგნში ვერ ამოვიკითხავდი იმას, რაც ათეული წლების მანძილზე მაჩვენა, ამიხსნა და გამაგებინა სპორტულმა სამყარომ. ვერასდროს ვნახავდი ბუენოს-აირესში ქართველ კაცს, რომელიც დაუსრულებლად იმეორებდა: „სადაურსა სად წაიყვან“... იგი ბავშვივით ტიროდა და არა სცხვენოდა საკუთარი ცრემლისა. ეს ცრემლი წმინდა იყო, რადგანაც სამშობლოს სიყვარულით გახლდათ გამოწვეული. ეს ხანში შესული კაცი, რომელსაც მანამდე არასოდეს ენახა ფარიკაობა, ჩვენი გამოსვლების დროს მუდამ დარბაზის პირველ რიგში იჯდა. მას უხაროდა, რომ არსებობს ქართული ფარიკაობა, რომ ხედავდა ქართველ მოფარიკავეს, რომ იგი მის მიერ დიდი ხნის წინათ მიტოვებული სამშობლოდან იყო მოსული...

რომელი ერთი შემთხვევა გავიხსენო. აი, დასასრულს უახლოვდება ჩვენი წიგნიც. შეგვეცადე მეჩვენებინა მკითხველისათვის ერთი ჩვეულებრივი სპორტსმენის ცხოვრება. რა თქმა უნდა, წიგნში წარმოდგენილი ყველა ეპიზოდის შეფასება უაღრესად სუბიექტურია. მინდოდა დამეწერა ფარიკაობაზე, მეგობრებზე, სპორტულ ასპარეზობებზე, ისე როგორც თავის დროზე ვხედავდი. მინდოდა მეჩვენებინა, ეს განსაკუთრებით ეხება მოზარდ თაობას, რომ სპორტი, კერძოდ, ფარიკაობა ია-ვარდით ფენილი გზა როდია. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის შრომა, დაძაბული შრომა, ურომლისადაც ჯერ არავის გაუმარჯვნია.

ბარკუნეულ დრომდე ფარიკაობა ჩემი ერთადერთი სიყვარული იყო. არავის შეეძლო მეტოქეობა გაეწია ამ ერთადერთი სიყვარულისთვის. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მან ეს უსაზღვრო სიყვარული უნდა გაუნაწილოს ოჯახს, შვილებს, მეტი დრო დაუთმოს საზოგადოებრივ საქმიანობას. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი მაშინ, როცა დაიბადა ჩემი პირმშო ნუგზარი. არასოდეს ჰყოლია ჩემს სმალს ასეთი „ულმობელი“ მეტოქე. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ნუგზარ ასათიანია...

შეგნებულად არ ვწერდი წიგნში ჩემს პირად ცხოვრებაზე. ჯერ ერთი, იგი უაღრესად პირადულია, მეორეც, ჩემი აზრით, ის მხოლოდ ხელს შეუშლიდა მოგონებებში აღწერილი სპორტული მოვლენების აღქმას. ისედაც ბევრი რამ დამრჩა უთქმელი: რამდენმა საუცხოო სპორტსმენმა ვერ ჰპოვა აქ ადგილი.

ნუგზარ ასათიანი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ნანამ კვლავ გაგვახარა

ახალი წლის წინ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ნანა ალექსანდრიამ დიდად გაახარა ჭადრაკის მოყვარულნი. მან გაიმარჯვა ავარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) გამართულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის მეორე გათამაშებაში. საინტერესოა, რომ პირველ გათამაშებაში, რომელიც 1969 წელს მოეწყო, თასს ისევ ქართველი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი დაეპატრონა.

თასისათვის ბრძოლაში ნანასთან ერთად 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის საქვეყნოდ სახელგანთქმული საერთაშორისო ოსტატები — ნიკოლაუ (რუმინეთი) და ლაზარევიჩი (იუგოსლავია). იმის მოლოდინი, რომ ბრძოლაში ნანას მთავარ მეტოქეებად სწორედ ისინი ეყოლებოდა, საკმაოდ გამართლდა. პაექრობის კრიტიკულ მომენტში, როცა ნანა ლიდერებში იყო, ლაზარევიჩმა შეძლო მასთან პარტიის მოგება (ეს ნანას ერთადერთი წაგება აღმოჩნდა), მაგრამ ფინიშზე ენერგიული თამაშით ნანა კვლავ წინ გაიჭრა. მან შეჯიბრება 11,5 ქულით (10 მოგება, 3 ფრით) დაამთავრა და თასიც დაისაკუთრა. ეს თასი ნანას სამუდამო საკუთრებაში დარჩება. როგორც თასის პირველ გათამაშებაში, ნიკოლაუმ და ლაზარევიჩმა II-III ადგილები გაიყვეს (მათ 11-11 ქულა მოაგროვეს). ამ პასუხსაგებ ტურნირზეც ნანას თან ახლდა მისი მწვრთნელი, პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე.

ქართველი მოჭადრაკის ეს ბრწყინვალე წარმატება მისმა დიდმა შემოქმედებითმა პათოსმა, გამარჯვებისადმი შეუნელებელმა ლტოლვამ განაპირობა. 1971 წელს ნანას მოუხდება მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობა. ეს იქნება უაღრესად ძნელი შეჯიბრება. ვრნიაჩკა-ბანიაში გამარჯვება გვაიმედებს, რომ თბილისელი სტუდენტი ამ მნიშვნელოვან ასპარეზობაშიც დიდი წარმატებით გამოვა.

თენგიზ ნინოშვილი



სურათზე: ნანა ალექსანდრია და მისი მწვრთნელი, დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე არჩევენ ნათამაშებ პარტიას.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო



ჭადრაკის დედოფლის ოჯახი

ადრე ხშირად გამიგონია: ნონა გაფრინდაშვილს არასოდეს არა აქვს დრო იფიქროს ოჯახის შექმნაზე ჭადრაკის დედოფალს დიდ ტურნირებში მონაწილეობისათვის მუდამ ბევრი დრო სჭირდებოდა. ქნება ნონა კიდეც ფიქრობდა პირად ბედნიერებაზე, მაგრამ ვერასოდეს შეხვდა გულისსწორს.

ექიმი ანზორ ჭიპინაძე ნონამ 1966 წელს ბაქოში გაიცნო, სადაც ამიერკავკასიის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში სათამაშოდ ჩავიდა. ახალგაზრდებმა მალე გაიმოხახეს საერთო ენა. მერე ანზორი თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ და მეგობრობაც განმტკიცდა.

მსოფლიო პირველობაზე ალა კუშნირთან მეორე მატჩს ანზორი მოსკოვშიც დაესწრო. შემოდგომაზე ახალგაზრდები დაქორწინდნენ და პირდაპირ იუგოსლავიაში გაემგზავრნენ, სადაც ნონამ ქალთა შორის ევროპის ჩემპიონის თასის პირველ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

— როცა ნონამ სტარტზე პარტია წაიგო, ძალიან შევშინდი, — ღიმილით იხსენებს ანზორი. — ვფიქრობდი გულშემატკივრები წარუმატებლობას მე დამაბრალებდნენ. ნონა მამშვიდებდა: თასს არავის დავანებებო.

ნონამ შეასრულა თავისი სიტყვა.

დიდი და საზეიმო იყო ნონასა და ანზორის ქორწილი თბილისსა და ზუგდიდში. ამ დაუვიწყარ საღამოებზე ნონას გულმკერდს უმშვენებდა უცხოელ თანამემამულეთა ძვირფასი საჩუქარი — ოქროს მინიატურული საჭადრაკო დაფა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინით. სხვათა შორის, ამ გვირგვინის ხუთი ქიმიდან სამში პატიოსანი თვალია ჩასმული, რაც ნონას სამგზის მსოფლიო ჩემპიონობას აღნიშნავს. ორს მაშინ გამოვგზავნით, როცა ნონა კიდევ ორჯერ გახდება ჭადრაკის დედოფალიო.

ყველამ გაიხარა საამაყო მოჭადრაკის ბედნიერებით, ახალი, ჭეშმარიტი ქართული ოჯახის შექმნით.

გაზაფხულზე ნონა და ანზორი კვლავ იუგოსლავიაში არიან. მსოფლიო ჩემპიონმა ჯერ ბელგრადის ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, მერე მეუღლესთან ერთად ბელგრადში დაესწრო „საუკუნის მატჩს“, რომელშიც ერთმანეთს სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები გუნდები შეხვდნენ.

1970 წლის 12 სექტემბერს ნონას ვაჟი შეეძინა. პირმშოს დათო დაარქვეს. დედობა მოუხდა ჭადრაკის დედოფალს.

— პატარა დათომ დროებით ჭადრაკს მომაცდინა. მაგრამ ახლა იგი დიდი ბიჭია და თამაშის ნებასაც მაძლევს, — იღიმება ნონა. — 1971 წელს ბევრი საინტერესო ტურნირია მოსალოდნელი. ვაპირებ თამაშს გაზაფხულზე იუგოსლავიაში 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში. საჭიროა თანდათან სპორტულ ფორმაში შევიდე, რათა მომზადებული შევხვდე მსოფლიო პირველობაზე 1972 წლის მატჩს.

როცა შინ ვეწვიეთ ნონას, პატარა დათოს ართობდა. ბედნიერი დედა სახარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა თავის ბიჭუნას.

ბედნიერი, მრავალკაციერი ახალი წელიწადი გაფრინდაშვილ-ბიჭინაძეების ოჯახს! იბედნიეროს საამაყო ქართველი მოჭადრაკის ახალშექმნილმა კერამ!

თენგიზ გიორგაძე

სურათზე: ნონა თავის პირმშოსთან ერთად.

მიხეილ ზარგარიანის ფოტო

საქართველოს სპორტსმენები — ოლიმპიურ სარბიელზე

მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაეწერეს საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიურ ასპარეზობათა ისტორიაში. ისინი სხვა საბჭოთა ათლეტებთან ერთად წარმატებით გამოდიოდნენ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა ამ ასპარეზობებში.

საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ ასპარეზობათა სარბიელზე 1956 წელს გავიდნენ. ეს იყო ჰელსინკის XV ოლიმპიადა. სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობაში გამოდიოდნენ საქართველოს წარგზავნილებიც. მაშინ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭეს მოჭიდავეებმა დავით ციმაკურიძემ, არსენ მეკოკიშვილმა, ძალოსანმა როგერტ ჩიმიშკიანმა, ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელმა.

ოლიმპიურ თამაშებში წარმატებითი სტარტი ჩვენმა სპორტსმენებმა მელბურნშიც გააგრძელეს. აქ უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს მოჭიდავეებმა მირიან ცალკალამანიძემ და გივი კარტოზიამ. მომდევნო ასპარეზობაში, რომელიც 1960 წელს რომში გაიმართა, ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა სიმაღლეზე მხტომელმა როგერტ შავლაყაძემ. მან მსოფლიოს გამოჩენილ მძლეოსნებთან ჭიდილში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სახელი და ოქროს მედალი დაიმსახურა. ჩემპიონი გახდა აგრეთვე მოჭიდავე ავთანდილ ქორიძე.

ტოკიოს ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად იაპონიის დედაქალაქში სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ჩავიდა საქართველოს 18 წარმომადგენელი. მათგან 16 საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა. ერთადერთი ოქრო მოიპოვა ნუგზარ ასათიანმა მოიხვეჭა, რომელიც ესპადრონისტთა გუნდურ შეჯიბრებაში პირველი იყო სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად.

მეხიკოს ოლიმპიადაზე ბრწყინვალედ იასპარეზა სოხუმელმა მძლეოსანმა, ვიქტორ სანეევმა. მან ჩემპიონობაც მოიხვეჭა და მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა სამხტომში. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა აგრეთვე სახელოვანი ქართველი მოჭიდავე რომან რურუა.

უკანასკნელ ზემოჩამოთვლილ ოლიმპიადაში საქართველოს სპორტსმენებმა სხვა საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

გვერდი მოამზადა საქართველოს სპორტული გაზეთის „ლელოს“ რედაქციამ.



ბატონო შალვა! უკვე ნახევრით გაზეთ „სამშობლოს“ 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც მკითხველებს თქვენი ვინაობა და თხოვნა გავაცანით — დაგხმარებოდით ნათესავების მოძებნაში. „სამშობლოს“ რედაქცია საახალწლო მოლოცვად გაცნობებთ, რომ ქალაქ ცხინვალში ცხოვრობს თქვენი ბიძაშვილი ალექსი (ლექსო), ხოლო თბილისში მეორე ბიძაშვილი — გიორგი. მათი ვინაობისა და მისამართების დადგენაში დაგვეხმარა გორელი პედაგოგი, თქვენივე სებნია და მოგვარე შალვა გიგოლაშვილი. სიამოვნებით ვაქვეყნებთ მის წერილს, რომლის ადრესატიც თქვენ ბრძანდებით.

ᲐᲮᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ — ᲡᲘᲓᲜᲔᲘ

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲡᲔᲮᲜᲘᲐᲕ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲕᲔ!

ჩვენი გვარები და სახელები ზუსტად ემთხვევა. მეც გორელი ვარ, შალვა გიგოლაშვილი, თქვენზე ბევრად უმცროსი. ვასწავლი ქიმიას. „სამშობლო“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გაზეთია. თითოეულ ნომერს გულდასმით ვკითხულობ და აი სულ ახლახან წავიკითხე თქვენი წერილი. გიგოლაშვილი გიგოლაშვილებს ეძებდით და იმ დღიდან მეც შევუდექი თქვენი სისხლით ნათესავების ძებნას.

თავდაპირველად საქმე იმით დავიწყე, რომ გავემგზავრე სოფელ ბიეთში, სადაც უცხოვრია თქვენს პაპას — ზაქარიას. ალბათ მისი სახელიდან მოდის თქვენი მეორე გვარი — ზახაროვი.

ზაქარიას სამი ვაჟი ჰყოლია. ესტატე წასულა ქალაქ კავკავში. ქიტა და ნიკოლოზი (მუკა) გორში ჩამოსახლებულან. ამავე სოფელში გავიგე, რომ ნიკოლოზი და მისი მეუღლე (რომელიც გორის რაიონის სოფელ სობისიდან იყო), ადრე დაღუპულან, ხოლო ქიტას შვილი ალექსი (ლექსო) გიგოლაშვილი ცხინვალში ცხოვრობს.

მერე ცხინვალშიც გავემგზავრე და ვესტუმრე ალექსი გიგოლაშვილს. იგი მართლაც თქვენი ალაღი ბიძაშვილი გამოდგა და აი რა მითხრა:

— ჩემი ბიძაშვილი შალვა ორიოდე წლით უფროსი იყო ჩემზე. ერთად ვსწავლობდით თბილისში, ინტერნატის ტიპის სასწავლებელში, რომელიც „მალაკნების“ ბაზართან მდებარეობდა. შალვას მშობლები უკვე აღარა ჰყავდა და მამაჩემი-ჰპატრონობდა. სწორედ იმ ხანებში საქართველოში არეულობა დაიწყო. თბილისში მოდიოდნენ და მიდიოდნენ უცხოელთა ჯარები. ერთხანობას სკოლასთან ახლოს დაბანაკდნენ ინგლისელები. ჯარისკაცები ბურთს თამაშობდნენ ხოლმე, მე და შალვა ხშირად ვუყურებდით. მამაჩემმა რომ გაიგო, თბილისში არეულობააო, გორიდან ჩამოვიდა და მე, როგორც პატარა, თან წამიყვანა. შალვა კი ისევ სკოლაში დარჩა. როცა მამაჩემს ერთი კვირის შემდეგ სანახავად მიუკითხავს, იგი აღარ დახვედრია სკოლაში. ბევრი უძებნია, მაგრამ ამაოდ. ერთ მოხუცს უთქვამს: შენს ძმისწულს სულ ინგლისელ ჯარისკაცებთან ვხედავდიო. მეორე წასვლისას თან წაიყვანესო.

თქვენი ძმის, თედოს შესახებ თქვა: იმ ხანებში (1917-18-19 წლებში) ავადმყოფობდა, სმენა დაკლდა და მალე გარდაიცვალაო. თქვენს შესახებ ლექსომ მეტი არაფერი იცოდა, და როცა შეიტყო, რომ ცოცხალი ხართ, უზომოდ გაიხარა. ისიც თქვა. შალვას შეიძლება არ ახსოვდეს, რომ ერთი ბიძაშვილიც ჰყავს, ჩემი უმცროსი ძმა გიორგი, რომელიც თბილისში ცხოვრობს. ორივე ტოლ-შვილიხი ვართ და ძალიან გაგვეხარდება, თუ ოდესმე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

ბატონო შალვა!

მეც გულით გილოცავთ ნათესავების პოვნას. მიიღეთ ეს კარგი ამბავი ახალი წლის მახარობლად და მეკვლედ. დღეგრძელი იყავით, გისურვებთ სამშობლო გენახოთ, მშობლიურ გორს სწვეოდეთ, სადაც მასპინძელი ვიქნები მე — თქვენი სხვნია და უმცროსი მოგვარე, შალვა გიგოლაშვილი.

ქალაქი გორი, სტალინის გამზირი № 2-ბ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

„ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“ ᲒᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐᲗ

ᲙᲘᲓᲔᲕ რამდენიმე დღე და 1970 წელი ისტორიის კუთვნილება გახდება. როგორც ყველა, ჩვენც ვაჯამებთ შრომის შედეგებს, ვბაუბობთ კითხვას — რა გააკეთა რედაქციამ წლის მანძილზე, ეიარეთ თუ არა იმ გზით, რომელსაც გაზეთი მკითხველის გულისაკენ მიჰყავს?

რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობის ობიექტურ შეფასებაში დიდად დავეხმარება მკითხველის აზრი. კითხვები, რომლითაც ახლა მოგმართავთ, პირუთვნელ, გულღია პასუხს მოითხოვს.

მაშ ასე, გთხოვთ გვიპასუხოთ კითხვებზე:

1. „სამშობლოს“ მუდმივი მკითხველი ხართ თუ ოშვიათად ხვდებით მას?

2. რომელი სტატია მოგეწონათ ყველაზე მეტად წლეულს და რატომ? რომელი არ მოგეწონათ?


3. რომელი განყოფილება (ან რუბრიკა) მოგწონთ ჩვენს გაზეთში? კიდევ რა განყოფილებას ისურვებდით გვქონდეს?

4. თქვენი აზრით, რა სახის მასალები აკლია ჩვენს გაზეთს? რას მივაქციოთ უფრადღება?

5. როგორ მოგწონთ გაზეთის მხატვრული გაფორმება?

6. რა როლს ასრულებს ჩვენი გაზეთი თქვენს ცხოვრებაში?

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲙᲔᲢᲐ



რესტორანი „არაგვი“

ᲒᲔᲬᲐᲞᲢᲘᲥᲔᲑᲐᲗ „ᲐᲠᲐᲒᲕᲘ“

ქალდე ცირკის შენობას ებჯინება, სანაპიროზე გაწოლილა. გვერდით მტკვარი ჩაუდის, ზოგჯერ მღვრიე და ზოგჯერ ანკარა. კლდის ბოლოს ახალთ-ახალი, თანამედროვე, უმაღლესი კლასის რესტორანი წამომართულა. მას შეუძლია ერთდროულად ასობით ადამიანს გაუმასპინძლდეს, მოალხინოს, დაახსომოს თავისი მყუდრო, კრიალა დარბაზები, ხეზე და ლითონზე ამოყვანილი ქართული ჩუქურთმები, ვეებერთელა მოზაიკური პანოები, ასე რომ ამშვენებს კედლებს.

„არაგვში“ ნამყოფთ დაახსომდებათ „ქართული მარანი“, კასრებიდან მოხრილი კახური ღვინოები, ქართული ტაბლები, სამფეხა სკამები, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მასპინძლები, მედუდუკენი, ქოთნის ლობიო, ცვრიანი მწვადები...

მეორე სართულზე არღანი უკრავს. გაჩირაღდნებული უზარმაზარი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი და ისევ ქართული სამხარეულოს მრავალფეროვნება, რა გინდა სულო და გულო... აქ ჩვენულ გულუხვ მასპინძლობას ორკესტრიც ახლავს. მესამე სართულზე 350-ადგილიან საბანკეტო დარბაზში შეიძლება გადახდით ქორწილი, დიდი წვეულება, საფუძლიანი ქეიფი სხვებზე გამეორება დატკბეთ მტკვრის სანაპიროს ცქერით.

1970 წელი საათებს ითვლის. მალე კარს მოგვადგება ახალი წელიწადი და, რა თქმა უნდა, „არაგვშიც“ შეაბიჯებს. საინტერესოა, როგორ დახვდებიან ასეთ ს ურველ და სანატრელ სტუმარს არაგველები?

აი რას ამბობს რესტორნის ჯერეტტორი ნიკოლოზ დოლიძე:

— დიდი ხანია დავიწყეთ საახალწლო სამზადისი. მოვამარაგეთ სასმელები, სურსათი და სანოვაგე, ხილი და ტკბილეული, ყოველივე უხვად, კარგი და საუკეთესო ხარისხისაა. აბა ახალი წელიწადი უნაძოდ როგორ თქმება. დიდ დარბაზში მთელი სიმაღლით აღიმართება ტანწერწეტა ნაძვისხე.

31 დეკემბერს ღამით „არაგვის“ სტუმრები სწორედ ამ დარბაზში მოიყრიან თავს, მოვლენ ოჯახებით, ბავშვებით, მეგობრებით... მთელი დარბაზი ერთ ვეებერთელა საახალწლო სუფრად გადაიშლება. სუფრა კი, გოჭებით, ინდაურებით, ქათმებით, ვარიებით, ყურძნითა და მანდარინით, ჩურჩხელებითა და გოზინაყით დატვირთება.

12 საათზე, როცა ახალი წელიწადი შემოგვიჯდება, აინთება საახალწლო ნაძვისხე. ყველაფერს ისე თბილად და მყუდროდ გავაკეთებთ, რომ ადამიანებმა თავი საკუთარ ბერქვეშ იგრძნონ.

ეს იქნება რესტორნის პირველი საახალწლო ზეიმი, ვეცდებით კარგი მასპინძლობა დაგვეკვიდრებოს.

გელა ქვარიანი

ᲮᲣᲗᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ

საუბარი ახალ წელიწადთან

გზა მშვიდობისა ძველს, მიმავალს... ხომ გული გვწყდება,
რომ კიდევ წელი მოემატა ჩვენს ხნოვანებას,
და მაინც მთელი ცისქვეშეთი სიამით სვედება
დედამიწაზე შენს მობრძანებას.

წინაპარივით იყავ მუდამ დაუცხრომელი
და მზის შუქივით მოიარე ქვეყნიერებას.
სადაც არ იყოს, ინახულე კაცი მშრომელი
და ყველა გათბანს მოუტანე გედნიერებას.

იყავ კეთილი, მართალი და სამართლიანი,
პატიოსნების მფარველი და ძმა საიმედო,
სიხარულისთვის დაიბადე ადამიანი,
მწუხარებისთვის, გეუდრები, არ გაიჩეტო!

იყავ მდიდარი, უხვი, რაგორც ბუნების კალთა,
და ამიყვავე კიდევ უფრო მიწა მშობელი,
გთხოვ, შენც მრავალჯერ მათქმევინო ხმამაღლა, ნათლად,
რომ სამუდამოდ მე ამ მიწის ვარ მადლობელი.

შენ აუხდინე ყოველ ჩვენგანს ოვნება ფიცნდა,
რისი ახდომაც ვერ მოასწრო წელმა წასულმა,
შენ დაასრულე-შენ თუ გარეთ, მთაში თუ მინდვრად,
რაც ძველმა წელმა, მუყაითმა, ვერ დაასრულა.

შენ გაუმართლე სიყვარული ყველა გულდამწვარს
და განუქარვე მწუხარება ნისლიან დღეთა...
შენ გაახარე იგი, ვისი სიტყვაც მუდამ გვწამს
და ვისაც ძველი უნაზესი სახელი — დედა.

შენ დაათხოვე ყველა, ვისიც დამდგარა ჯერი
და ყველა, ვისაც ცოტა კიდეც შეაგვიანდა,
შენ აამაღლე პატიოსან ოჯახის ჭერი,
და, საახალწლოდ შეარხიოს თოფის ბრიალმა.

შენ გაავრცელე ქორწილები, აქეანთა რწევა,
დაიცავ ჩვენი მშვიდობა და კეთილდღეობა.
სტუმართა წვევა გაგვიხშირე, მოძმეთა წვევა,
მეზობრებს ჩვენსას მიანიჭე ჯანი, მხნეობა.

შენ დაამარცხე ჩემი ხალხის ყველა ორგული
და კიდევ უფრო განამტკიცე ჩემი მამული,
აააჭრიალე უფრო ტაბლად ჩვენი ჩონგური,
ჩვენი შანდური, ჩვენი სტვირი თუ სალამური.

უმგარ წამალს ნუ დაუჭერ კაცის იარებს,
კარიდან კარში სიხარულის გახდი მომსავი,
ყველა ოჯახი სათითაოდ ჩამოიარე
და გიდღეგრძელე, უცნობია თუ ნათესავი.

თაყვანი ეცი ჩემი ქვეყნის რჩეულ ლამაზებს
და მათი ეშხით გაგვინათე სიცოცხლის დღენი...
კეთილი იყოს შენი მოსვლა ამ ქვეყანაზე,
კეთილი იყოს გაცნობა ჩვენი!

საახალწლო ნომრის მხატვარია იური ქლიგაძე

შესანიშნავი შვიდეული

ორიოდაათიოდე წლის ვაჟკაცური გარეგნობის მამაკაცი ფეხსაცმლის მაღაზიაში შევიდა. გამყიდველი მეგობრულად მიესალმა და დახლზე გადმოულაგა ქალის ფეხსაცმელი— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

ვიდრე ჩემთვის უცნობი მამაკაცი ფულს გადაიხდიდა. გამყიდველმა გულმოდგინედ შეუფუთა ქალის რვა წყვილი ფეხსაცმელი! ჩემი გივი, სიხარულსა და ბედნიერებაში გაცივითოს შენმა ცოლ-შვილმაო — უთხრა მყიდველს და, როგორც შეხვდა, ისევე თბილად დაემშვიდობა.

გამიკვირდა ამ ამბის მოსმენა. ვიდრე რამეს ვკითხავდი, გამყიდველმა თვითონ მითხრა:

— ეს ქუთაისელი ვაჟკაცი გივი ხაჭაპურიძე გახლავთ. შვიდი ქალიშვილის მამაა. თან დაუმატა: ისეთი ქალიშვილები ჰყავს, მათი პატრონი ვაჟს არც კი ინატრებსო.

დავინტერესდი და ენაწყლიანმა გამყიდველმაც განაგრძო თხრობა.

გივი და ქეთევან ხაჭაპურიძეები 1942 წელს დაქორწინდნენ. მალე პირველი ქალიშვილი ეყოლათ, ლიანა. შემდეგ მეორე. ვაჟი ძალიან უნდოდათ, თუმცა გივი ახალშობილზე ჯერ იმას იკითხავდა ხოლმე, ხომ ჯანმრთელია ჩემი შვილიო.

მახსოვს, როდესაც მეოთხე ქალიშვილი ეყოლათ, ახლობლები მართლა ძალიან დავღონდით. გივი გავიწყრა: როგორ გეკადრებათ, შვილი შემეძინა, თქვენ კი ცხვირი ჩამოგიშვიათო. მთავარია ბავშვები ჯანმრთელები, ჰკვიანები, დედ-მამის მოყვარულნი დაიზარდონო. მერე იხუმრა: — ახლა სწორედ ის დროა, როცა „ლეკვი ლომისა სწორია“. ვაჟი რატომაც არ მინდა, ჯაგრამ ჩემი გოგონები ქვეყანას მირჩევნიაო და დიდი სუფრის გაშლა გადაწყვიტა.

ამგვარი სუფრა კიდევ სამჯერ გაიშალა გივი ხაჭაპურიძის ოჯახში. იზრდებოდნენ გოგონები. კარგად სწავლობდნენ. ეს ყველას გვახარებდა, მშობლებსაც და ახლობლებსაც.

ახლა ლიანა ინჟინერია და ქუთაისის საპროექტო ინსტიტუტში მუშაობს. მზია მალე დაიცავს დიპლომს და არქიტექტორი იქნება, ნარგიზა თბილისში იმეცნს ლექციებს ტექნოლოგიურზე, ქეთინო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტია. მარინე უმაღლესში შესასვლელად ემზადება, ხოლო უმცროსები — ნანა და ელისო ჯერ კიდევ სკოლაში დადიან, — დაამთავრა მოყოლა გამყიდველმა და მითხრა: — რა ძალიან დაინტერესდი, ამ ამბის დაწერას ხომ არ აპირებო?

— შეიძლება-მეთქი, — ვუპასუხე. რატომ სხვებმაც არ უნდა იცოდნენ, რომ ქუთაისში ცხოვრობენ ცოლ-ქმარი ქეთევან და გივი ხაჭაპურიძეები, რომელთაც შვიდი ქალიშვილი ჰყავთ, გოგონები დაიზარდნენ, ინჟინრები, არქიტექტორები, ტექნოლოგები, პედაგოგები, ექიმები იქნებიან და თავიანთ საქმეს ვაჟკაცურად გააკეთებენ, სამშობლოს გამოადგებიან.

ახალი წელიწადი შემოდის.

ეს დღეები ყველაზე ბედნიერად ითვლება გივი ხაჭაპურიძის ოჯახში. მშობლიურ კერას მოაკითხავენ თბილისში სასწავლებლად წასული გოგონებიც, და ახალ წელიწადს ერთად შეხვდება შესანიშნავი შვიდეული.

დიდ, ლამაზ სახლში სიტკბო და სიხარული ჩამოდგება, ერთიმეორეს გამრავლებასა და თეთრად დაბერებას უსურვებენ.

ჩვენც ვუსურვოთ თითოეულს შვიდ-შვიდი შვილი გაეზარდოს მამულის საკეთილდღეოდ.

ჯუანშერ მაღალაშვილი

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ზᲔ 66488.

ფასი 5 კაპ.